პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 145 (4655)

1972 წ. 26 ივლისი, ოთხშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## „ტრე კრუნერი" უმწვრთნელოდ

სტოკჰოლმი, 24 ივლისი. როგორც გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი" იუწყება, კანადელი ბილ ჰარისი ამიერიდან აღარ ავარჯიშებს შვეციის ჰოკეისტთა ნაკრებ გუნდს. მწვრთნელის სიტყვებით, ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ შვეციის ხელისუფალნი დაჟინებით მოითხოვენ ჰარისისგან ბეგარა გადაიხადოს შვეციაში მიღებული ფულიდან.



თბილისის ზღვაზე გრძელდება საქართველოს პირადი პირველობა წყალსათხილამურო სპორტში. შეჯიბრების პროგრამაშია სლალომი, ფიგურული სრიალი და ტრამპლინიდან ხტომა.

სურათზე: სლალომის ტრასაზეა თბილისელი მოსწავლე ქ. ურუშაძე.

ო. გელაშვილის ფოტო.

## [illegible]-72

● ზაგრები, 24 ივლისი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში I ადგილი დაიკავა საბჭოთა დიდოსტატმა ლ. შტეინმა, რომელმაც 9,5 ქულა დააგროვა 13-დან.

● კალინინგრადი, 24 ივლისი. დღეს აქ დამთავრდა ჩოგბურთელ ჭაბუკთა და გოგონათა საკავშირო გუნდური შეჯიბრება, რომელშიც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მოსკოვის გუნდს I ადგილის დაკავება არ გასჭირვებია — ადვილად სძლია ყირგიზეთის, ლატვიისა და ბელორუსიის კოლექტივებს. ფინალში მოსკოველებმა უკრაინის გუნდი დაამარცხეს — 7:1. III ადგილზე გავიდნენ ბელორუსიის ჩოგბურთელები.

● ლენინგრადი, 24 ივლისი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ოლიმპიურმა ნაკრებმა კიდევ უფრო განიმტკიცა მოწინავე პოზიცია აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში. ანგარიშით 3:2 (15:13, 15:10, 6:15, 8:15, 15:7) დაამარცხა სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდი.

## [illegible]-72

[illegible] ... $19^{45}$

◆ პარიზი, 25 ივლისი. საბჭოთა ჩოგბურთელმა ქალებმა კვლავ დაისაკუთრეს სუაბოს თასი, რომლის გათამაშებაც ევროპის არაოფიციალურ გუნდურ პირველობად ითვლება ქალიშვილთა შორის. ქალაქ ტუკეს კორტებზე გამართულ გადამწყვეტ მატჩში სსრ კავშირის წარმომადგენლებმა ანგარიშით 2:1 სძლიეს ინგლისის გუნდს. კროშინამ დაამარცხა კოულსი — 6:8, 6:4, ბირიუკოვამ — ბერტონი 6:2, 4:6, 6:3. წყვილთა შეხვედრაში საბჭოთა დუეტს ინგლისელებმა აჯობეს — 6:3, 6:2. III ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, რომელმაც დაამარცხა ფრანგები — 3:0.

◆ ზადარი, 25 ივლისი. იუგოსლავიის ამ ქალაქში დამთავრდა ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი, რომელშიც საბჭოთა ჭაბუკ კალათბურთელებს მხოლოდ ბრინჯაოს მედლები ხვდათ. კონტინენტის პირველობაში არაერთგზის გამარჯვებულმა საბჭოთა გუნდმა ნახევარფინალში წააგო იუგოსლავიის კოლექტივთან — 59:66 (28:30). თავის მხრივ იუგოსლავიის წარმომადგენლებმა გადამწყვეტი მატჩი მოუგეს იტალიელებს — 89:65 (37:22) და ჩემპიონები გახდნენ.

◆ უტრეხტი, 25 ივლისი. თავისუფალი სტილით ცურვაში სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი მოიპოვა ჰოლანდიელმა ტ. ვან კლოსტერმა, რომელმაც 1500 მ 16 წუთსა და 28,5 წამში დაფარა.

## ონტატის მხოლოდ ერთი შედეგი

ქუთაისის სპორტულ ბაზებზე თითქმის ორ თვეს გრძელდებოდა XVI საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც 19 სახეობა შედიოდა. ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა სპორტსაზოგადოებების 1300-ზე მეტი წარმომადგენელი. ნახევარი ქულის უპირატესობით ჩემპიონობა ზედიზედ მეორედ მოიპოვა „სპარტაკმა" (თავმჯდომარე ჯ. კვიციანი). 192 ქულით II ადგილზეა საქალაქო სპარტაკიადების მრავალგზის ჩემპიონი „განთიადი", III — „დინამო".

სპარტაკიადის პროგრამით ფარფიელზე ბოლოს მოფარიკავეები გამოვიდნენ. „დინამოს" გუნდმა პირველობა არავის დაუთმო. II და III ადგილები შესაბამისად „სპარტაკმა" და „განთიადმა" დაიკავეს.

დაბალი იყო წყალში მხტომელების, მძლეოსნებისა და ძალოსნების შედეგები. სპორტის ოსტატის ნორმატივი მხოლოდ სპარტაკელმა ტყვიის მსროლელმა ვ. მებურიშვილმა შეასრულა. ოცმა მოასპარეზემ სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა, ხოლო 24-მა — პირველი თანრიგისა.

წყალბურთელთა შეჯიბრებაში მხოლოდ სამი კოლექტივი ჩაება. ეს მოწმობს, რომ ზოგიერთ სპორტულ საზოგადოებაში საწყლოსნო სპორტის სახეობებს უგულისყუროდ ეკიდებიან.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

## გმირის მემორიალში — 130 მოკრივე

ამ სამი წლის წინ ლენინაბადის ფიზკულტურისა და სპორტის ზონალურმა კომიტეტმა და ტაჯიკეთის სსრ კრივის ფედერაციამ საძირკველი ჩაუყარეს მოკრივეთა საინტერესო შეჯიბრებას — საბჭოთა კავშირის გმირის, ტაჯიკი ხალხის სახელოვანი შვილის, ისმაილ ხამზაალიევის მემორიალს.

ახლა მემორიალი უკვე მესამედ ჩატარდა. მოკრივეთა ამ ტრადიციულ ასპარეზობაში ცხრა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სხვათა შორის, მემორიალმა წლეულს უკვე საკავშირო შეჯიბრების უფლებები მიიღო.

საპატიო პრიზისთვის 130 მოკრივე იბრძოდა. მონაწილეთა შორის 30 სპორტის ოსტატი, ბევრი თავისი რესპუბლიკის ჩემპიონი, საკავშირო პირველობათა და სხვადასხვა მემორიალის პრიზიორი იყო.



ისმაილ ხამზაალიევის მემორიალში მესამედ მიიღეს მონაწილეობა საქართველოს წარმომადგენლებმაც — საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის, სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. გორგასლიძის აღსაზრდელებმა. ოთხი თბილისელი მოკრივე ნახევარფინალში გამოდიოდა, სამი — ფ. ალექპეროვი, ო. ტიტვინიძე და გ. შახსუვარიანი ფინალებში მონაწილეობდნენ. გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა შახსუვარიანმა. ალეკპეროვი და ტიტვინიძე შეუპოვარ ბრძოლაში ვერცხლს დასჯერდნენ: პირველმა წააგო ტაჯიკეთის ჩემპიონ ა. რახმანოვთან, მეორემ კი უზბეკეთის ჩემპიონთან, სპორტის ოსტატ ა. ტიაქევთან.

მემორიალის მონაწილეთა დელეგაცია იყო გმირის სამშობლოში, ხამზაალიევის სახელობის კოლმეურნეობაში. მოკრივეებმა ყვავილებით შეამკეს გმირის ბიუსტი. შეჯიბრების ორგანიზატორებმა ბევრი საინტერესო ექსკურსია მოაწყვეს.

ვ. მალიი.

ლენინაბადი.

* * *

სურათზე: მჩატე წონის მოკრივეთა ნახევარფინალური ბრძოლა. ურტყამს ო. ტიტვინიძე. მისი მეტოქეა დუშანბელი სპორტსმენი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვ. პოლინოვი.

ავტორის ფოტო.

## იერიშის წინ

სსრკ 50

ფინიშის სწორზე გავიდა საერთაშორისო ალპინიადა-72, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება. წარმატებით დამთავრდა კომუნიზმის პიკის დალაშქვრის მოსამზადებელი ეტაპი — შეიქმნა სამი საშუალედო ბანაკი. დიდ ფირნის პლატოზე მეშვეულმფრენებმა და მთამსვლელებმა გადაზიდეს სურსათისა და აღჭურვილობის აუცილებელი მარაგი, ააგეს თოვლის ქალაქი, რომელიც ავდარში გამოადგებათ.

ყველა სპორტსმენმა წარმატებით გაიარა აკლიმატიზაცია. ფორტამბეკის ყინვარის საბაზო ბანაკში პლატოდან მთამსვლელთა ბოლო ჯგუფები დაეშვა.

— მთამსვლელები სიმაღლეზე ძალიან კარგად გრძნობენ თავს, — გვიამბობს ალპინიადის ხელმძღვანელის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ოვჩინიკოვი. — საერთო ჯამში 5-დან 6 ათას მეტრ სიმაღლეზე დაახლოებით ხუთ დღეს ვიყავით. ამინდი ჭირვეულობდა. პლატოზე ნამდვილი ქარიშხალი და ყინვა დაგვხვდა. ქარბუქი წინ მიმავალთა ნაკვალევს შლიდა. ხანდახან სამ-ხუთ მეტრში ვერაფერს ვხედავდით. გაიშვიათებულ ჰაერში სუნთქვა გვიჭირდა. მთამსვლელები ასეთ პირობებში ეზიდებოდნენ ტვირთს, აწყობდნენ თავშესაფარს.

განმეორებითმა სამედიცინო შემოწმებამ საბაზო ბანაკში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ ნ. ტაჯიევის ხელმძღვანელობით მთამსვლელთა აკლიმატიზაციის კარგი დონე დაადასტურა.

ერთობლივი ასვლის დღეებში სხვადასხვა ქვეყნისა და რესპუბლიკის სპორტსმენები ძალიან დამეგობრდნენ. უკრაინის, ბელორუსიისა და პოლონეთის წარმომადგენლები, მაგალითად, ერთ ჯგუფში გაერთიანდნენ. ერთად მუშაობენ სომხეთის, რუსეთის ფედერაციის, იუგოსლავიის, ლატვიის, ლიტვის, გდრ-ის მთამსვლელები, 23 სახელმწიფოსა და რესპუბლიკის წარმომადგენლები, რომელთა დროშები ერთად ფრიალებს პამირის ცენტრში.

წინაა საბაზო ბანაკში დასვენების კიდევ ოთხი დღე, საინტერესო შეხვედრების, საუბრების, სპორტული თამაშების, სეირნობის დღეები. მერე იქნება იერიში და ხუთდღიანი ასვლა 7495 მეტრი სიმაღლის მწვერვალზე.

ი. ცენინი.
(საკუთარი კორ.).

პამირი,
ფორტამბეკის ყინვარი.

# მაღალი მაჩვენებლებისთვის!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ ქვეყნის შემდგომი განვითარების ხუთწლიანი გეგმა დასახა. ამის შესაბამისად შემუშავდა ჩვენს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების 1971-1975 წლების გეგმა.

საინტერესოა გავიხსენოთ, რა შედეგებით დაამთავრეს რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა 1971 წელი, გავაანალიზოთ 1972 წლის პირველი ნახევრის შედეგები.

შარშან საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისთვის ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაცია ზედიზედ მეცამეტედ დაჯილდოვდა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით. საქართველომ საერთო I ადგილი დაიკავა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს შორის.

I ადგილზე გავედით ფიზკულტურელთა რაოდენობით, IV — ნიშნოსანთა მომზადებით, V — სპორტის ოსტატებისა და პირველთანრიგოსანთა მომზადებით, VI — სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში მონაწილეობით, VII — საწარმოო ტანვარჯიშში გაერთიანებულთა რაოდენობისა და მასობრივი თანრიგების სპორტსმენთა მომზადებით, VIII — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა მომზადებით, IX — სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს რეკორდების დამყარებით.

საერთო მაჩვენებლების ჯამში საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ 52 ქულა მოაგროვა და ქულით გაუსწრო შესაბამისად II, III და IV ადგილებზე გასულ ბელორუსიის, მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივებს. V და VI ადგილებზე გავიდნენ რუსეთისა და უკრაინის ფიზკულტურის ორგანიზაციები.

როგორც ხედავთ, ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ზოგიერთ ძირითად მაჩვენებელში მოპოვებულ მიღწევებთან ერთად სერიოზული ნაკლიც აქვთ. ეს პირველ ყოვლისა ეხება საწარმოო ტანვარჯიშს, სადაც რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 12,91 პროცენტია გაერთიანებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მონაცემებში I ადგილზე გასულ თურქმენეთის რესპუბლიკას საწარმოო ტანვარჯიშში მუშა-მოსამსახურეთა 22,6 პროცენტი ჰყავს გაერთიანებული, ნათელი გახდება ამ მხრივ ჩვენი არადამაკმაყოფილებელი საქმიანობა.

ასევე დაბალი მაჩვენებლები გვაქვს მეორე, მესამე და მოზარდთა თანრიგების სპორტსმენთა მომზადებაში. წლის განმავლობაში ამ თანრიგებზე მომზადებულია რესპუბლიკის მოსახლეობის 5,17 პროცენტი, ეს მაშინ, როცა I ადგილზე გასულ ესტონეთში ეს მაჩვენებელი 7,71 პროცენტს შეადგენს.

კარგად არც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა მომზადების წლიური გეგმისა (გეგმის 64,28 პროცენტი) და რეკორდების საქმე გვაქვს. 1971 წელს საქართველოს სპორტსმენებმა სსრ კავშირის 8 და მსოფლიოს 2 რეკორდი დაამყარეს (ევროპის არც ერთი რეკორდი არ დამყარებულა).

შარშანდელ მაჩვენებლებზე შემთხვევით არ შევჩერებულვართ. საჭიროა წლეულს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ჩამორჩენილ უბნებს. ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება თუ გადავხედავთ შედეგებს წლის პირველ ნახევარში.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს შედეგები სახარბიელო როდია. ავიღოთ სსრ კავშირის სპორტის ოსტატთა მომზადების გეგმების შესრულება. მთლიანად რესპუბლიკაში წლეულს 180 ოსტატი უნდა მომზადდეს, მაგრამ 1 ივლისისთვის მომზადებულია მხოლოდ 78. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15-სა მომზადებულია მხოლოდ 5 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. ჩამორჩებიან „ბურევესტნიკი" (გეგმა — 40, შესრულება — 14), „ვოდნიკი" (4 — 1) „განთიადი" (28 — 14), „ლოკომოტივი" (11 — 3), „სპარტაკი" (17 — 3), „შრომითი რეზერვები" (9 — 2).

ისეთ სახეობებში, როგორიცაა კალათბურთი, ჭრივი, ველოსპორტი, წყალბურთი, ნიჩბოსნობა, ხელბურთი, თანამედროვე ხუთჭიდი, სროლა და ჩოგბურთი, ექვსი თვის განმავლობაში არც ერთი სპორტის ოსტატი არ მომზადებულა.

აღსანიშნავია, აგრეთვე, თბილისის ფიზკულტურული ორგანიზაციების ინერტულობა. მათ ნახევარი წლის განმავლობაში მხოლოდ 36 სპორტის ოსტატი მოამზადეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 84-სა. არც ერთი ოსტატი არ მოუმზადებიათ ფოთში, ქიათურაში, ზუგდიდში, ტყიბულში, გურჯაანში, ბორჯომში, ახალციხეში, წულუკიძეში, ჩოხატაურში, წავარეჯოში და სხვაგან.

თუ ამას დავუმატებთ, რომ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ დგას სათანადო დონეზე, გასაგები გახდება არსებული მდგომარეობა, რაც ამჟამად ყველა ფიზკულტურული მუშაკისგან ძალების მობილიზებას მოითხოვს, რათა დარჩენილ დროში წამოვწიოთ ჩამორჩენილი უბნები და საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მაღალი მაჩვენებლებით შევხვდეთ.

**ნ. სოხიშვილი,**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის, მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის, კადრებისა და სპორტის პროპაგანდის განყოფილების უფროსი.




## მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

*ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ჯ. ენუქიძე კიევიდან გვატყობინებს*

# მძლეოსნებმა გაგვახარეს

დამთავრდა ფრენბურთელთა ტურნირი. ყველასთვის მოულოდნელად, ჩვენმა ჭაბუკებმა ფინალური შეჯიბრება ერთობ უხეიროდ ჩაატარეს: მართალია, ბოლოსწინა მატჩი მოსკოველებს მოუგეს — 3:1 (15:3, 12:15, 15:4, 15:7); მაგრამ ბოლო შეხვედრა სომხეთის ნაკრებთან წააგეს — 2:3 (15:8, 12:15, 10:15, 15:5, 13:15).

დანარჩენი მატჩები: უკრაინა — ლენინგრადი 3:0, სომხეთი — ესტონეთი 0:3, ესტონეთი — უკრაინა 2:3, ლენინგრადი — მოსკოვი 3:0.

ამრიგად, ჭაბუკებში I ადგილი დაიკავა უკრაინის გუნდმა, II — ესტონეთის, III — ლენინგრადის, IV — საქართველოს, V — მოსკოვის, VI — სომხეთის წარმომადგენლებმა.

საქართველოს გოგონათა გუნდმა, რომელიც მეორე ფინალურ ჯგუფში თამაშობდა (VII-XII ადგილები), დაამარცხა ყაზახეთის კოლექტივი — 3:1 (13:15, 15:10, 17:15, 15:9), ბოლო მატჩი კი მოუგო ბელორუსიის სპორტსმენებს — 3:0 (15:9, 15:10, 15:5).

დანარჩენი მატჩები: მოსკოვი — ტაჯიკეთი 3:1, ლატვია — ბელორუსია 3:1, ტაჯიკეთი — ლატვია 3:0, ყაზახეთი — მოსკოვი 1:3. გაიმარჯვეს უზბეკეთის წარმომადგენლებმა. II ადგილზეა უკრაინის გუნდი, III — ლენინგრადის ნაკრები. ჩვენები VII ადგილზე არიან.

გოგონათა და ჭაბუკთა კოლექტივების გამოსვლის ჯამში I ადგილი უკრაინელებს ხვდათ. II — ლენინგრადელებს, III — ესტონელებს, IV — უზბეკეთის სპორტსმენებს. V-VI ადგილები გაიყვეს საქართველოსა და და რსფსრ-ს კოლექტივებმა.

ჩვენმა კალათბურთელმა ჭაბუკებმა პირველი ფინალური ექვსეულის IV ტურის შეხვედრა მოუგეს ლატვიის ნაკრებს — 70:60. ეს იყო დაძაბული შეხვედრა. პირველ ტაიმში უპირატესობა ლატვიელთა მხარეს იყო (29:24). ჩვენებმა შესვენების შემდეგ თამაშში გარდატეხა შეიტანეს.

კიდევ უფრო დაძაბული იყო ბოლო შეხვედრა უკრაინის ნაკრებთან. მასპინძლებმა თავიდანვე კარგად აეწყვეს თამაში, უფრო გაბედულად და ზუსტად მოქმედებდნენ მეტოქის ფარქვეშ. ჩვენებს თავიდან თამაში არ გამოუვიდათ და ტაიმი დათმეს — 26:39. ცამეტქულიანი ფორის ამოგება მართლაც ძნელი საქმე იყო, მაგრამ საქართველოს კალათბურთელებმა თანდათანობით შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება, და როცა მატჩის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, ანგარიში ხაყაიმო გახდა — 55:55. ერთი წუთიც არ იყო დარჩენილი თამაშის ბოლომდე, რომ ჩვენები 4 ქულით დაწინაურდნენ — 65:61. სწორედ ამ დროს მასპინძლებმა 4 უპასუხო ქულით ანგარიში გაათანაბრეს (65:65) და დროც ამოიწურა. დამატებითი 5-წუთიანი ტაიმის ბოლო წუთზე უპირატესობა უკრაინელებმა მოიპოვეს და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 76:75.

დანარჩენი მატჩები: უკრაინა — ბელორუსია 76:45, მოსკოვი — რსფსრ 85:92, რსფსრ — ლატვია 72:74, ბელორუსია — მოსკოვი 76:72.

ჭაბუკთა ტურნირი ერთი დღის დაგვიანებით დამთავრდა, ვინაიდან რსფსრ — საქართველოს გუნდებმა ხელმეორედ ითამაშეს. ჩვენ ვწერდით, რომ გადათამაშება უსამართლოდ დანიშნეს და ეს გადაწყვეტილება, მიუხედავად საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელთა დასაბუთებული პროტესტისა, არ შეცვალეს. ამჯერად საქართველოს კალათბურთელებმა შეხვედრა წააგეს — 75:81.

საბოლოოდ ჭაბუკთა შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. რსფსრ, 2. უკრაინა, 3. საქართველო, 4. ლატვია, 5. ბელორუსია, 6 მოსკოვი.

ჩვენმა გოგონებმა რსფსრ-ს ნაკრებთან მატჩი წააგეს ანგარიშით 37:73 (22:43), ხოლო ლენინგრადელებთან — 50:64 (25:23).

დანარჩენი მატჩები: ლენინგრადი — უკრაინა 56:66, მოსკოვი — ლატვია 59:69, უკრაინა — მოსკოვი 70:72, ლატვია — რსფსრ 60:75. პირველ ექვსეულში ადგილები ასე განაწილდა: 1. უკრაინა, 2. რსფსრ, 3. ლატვია, 4. მოსკოვი, 5. ლენინგრადი, 6. საქართველო.

გოგონათა და ჭაბუკთა ერთობლივი გამოსვლის მიხედვით საერთო გუნდურ ჩათვლაში I-II ადგილები გაინაწილეს რსფსრ-სა და უკრაინის კალათბურთელებმა. III ადგილზე გავიდა ლატვია, IV — საქართველო, V — მოსკოვი, VI — ბელორუსია.

ძალიან კარგად გამოვიდა საქართველოს მძლეოსანთა ერთი ჯგუფი. უნდა ითქვას, რომ ჩვენს მძლეოსნებს კარგა ხანია საკავშირო შეჯიბრებებში ასეთი წარმატება არ მოუპოვებიათ. სპარტაკიადის ჩემპიონობა საქართველოს მოსწავლეებიდან პირველმა ნათელა ლაბაძემ მოიპოვა. მან ბადრო 48 მეტრზე ტყორცნა და დანარჩენებისთვის მიუწვდომელი გახდა.

ბირთვის მკვრელთა შორის ყველას აჯობა 18 წლის ვ. ხმელიძემ, მაგრამ იგი უკვე სტუდენტია და ამიტომ შეჯიბრებაში უკონკურსოდ გამოდიოდა. მისი შედეგია 17,17 მ, რაც საქართველოს ჭაბუკთა რეკორდია. ხმელიძეს სულ ცოტა დააკლდა სსრ კავშირის ჭაბუკთა საკავშირო რეკორდის დამყარებამდე. ამ სახეობაში ვერცხლის მედალი ხვდა საქართველოს წარმომადგენელს ნ. ყესაშვილს — 15,55 მ.

III საპრიზო ადგილი დაიკავა ბ. ვეშაგურიძემ 110 მეტრზე თარჯრბენში — 14,7 (საქართველოს ჭაბუკთა რეკორდი).

დიდი ინტერესი გამოიწვია ათჭიდელთა ასპარეზობამ. აქ რვა სახეობის შემდეგ წინ იყვნენ რსფსრ-ს წარმომადგენელი ვ. ბურიაკოვი (5820 ქულა) და გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატის კურსდამთავრებული ლ. ბოლქვაძე — 5817 ქულა. ჩემპიონობის ბედი სწორედ ამ ორი ათჭიდელის ბრძოლაში უნდა გარკვეულიყო. რჩებოდა შეჯიბრებები შუბის ტყორცნასა და 1500 მეტრზე რბენაში. შუბის ტყორცნაში ბოლქვაძე სუსტად გამოვიდა და საბოლოოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა — 7034 ქულა (საქართველოს ჭაბუკთა რეკორდი). გამარჯვება ბურიაკოვს დარჩა — 7079 ქულა.

დ. მელაძემ 100 მეტრზე რბენაში III ადგილი დაიკავა — 10,8. ჭოკით ხტომაში II ადგილზეა საქართველოს წარმომადგენელი ა. მარავცი — 420 სმ. ასეთივე შედეგით ჩემპიონი გახდა ესტონელი რ. ლინდბალი.

სამ დღეს ასპარეზობის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები III ადგილზეა — 24890 ქულა. I ადგილზეა უკრაინა — 29790.

ხელბურთელთა შეჯიბრების ბოლოსწინა ტურში საქართველოს ჭაბუკებმა წააგეს ლიტველებთან — 17:21 (8:11), ბოლო ტურში კი მოსკოველებთან — 22:24 (14:12). ჩვენმა გოგონებმა წააგეს უკრაინის გუნდთან — 17:24 (5:12). მომდევნო მატჩი ლიტველებთან კი ფრედ დაამთავრეს — 18:18 (6:9).

დანარჩენი შეხვედრები: ჭაბუკები. რსფსრ — მოსკოვი 17:14, ბელორუსია — უკრაინა 20:26, ლიტვა — ბელორუსია 18:20, უკრაინა — რსფსრ 22:7. გოგონები. ლატვია — რსფსრ 8:17, ლიტვა — ყაზახეთი 18:11, ყაზახეთი — ლატვია 12:11, რსფსრ — უკრაინა 17:23.

ჭაბუკთა პირველ ექვსეულში ადგილები ასე განაწილდა: 1. უკრაინა, 2. ბელორუსია, 3. რსფსრ, 4. ლიტვა, 5. საქართველო, 6. მოსკოვი, გოგონებში: 1. უკრაინა, 2. ლიტვა, 3. რსფსრ, 4. საქართველო, 5. ყაზახეთი, 6. ლატვია, ორივეს ჯამში: 1. უკრაინა, 2. რსფსრ, 3. ლიტვა, 4. საქართველო, 5. ბელორუსია, 6. ყაზახეთი.

მოჭადრაკეებმა გაითამაშეს მთავარი ფინალური ტურნირის II, III და IV ტურებიდან გადადებული პარტიები. საქართველო — რსფსრ-ს მატჩის საბოლოო შედეგია 4,5:3,5, საქართველო — ლიტვისა — 5:3, საქართველო — მოსკოვისა — 3,5:4,5. ბოლო ტურის წინ ლიდერობს უკრაინა — 19,5. შემდეგ მოდიან: ლიტვა — 17,5, საქართველო, მოსკოვი — 17-17, რსფსრ — 16, ბელორუსია — 9. ბოლო შეხვედრა საქართველოს მოჭადრაკეებს ბელორუსიელებთან უწევთ.

აკრობატთა შეჯიბრებაში წარმატება მოიპოვა ჩვენმა ძალისმიერმა წყვილმა — გ. ბითაძემ და ვ. რაშიდოვამ. ამ დუეტმა 62,28 ქულით III საპრიზო ადგილი დაიკავა. ბრინჯაოს მედალოსანი გვყავს ხტომაშიც. ეს გახლავთ ჭაბუკი ნ. სანაძე — 42,9 ქულა. აკრობატთა საერთო გუნდურ ჩათვლაში ჯერჯერობით I ადგილზეა უკრაინის ნაკრები — 592,06. საქართველოს სპორტსმენები IV ადგილზე არიან — 534,160 ბატუტზე მოასპარეზეებში I ადგილზე არიან რსფსრ-ს წარმომადგენლები — 121,785. საქართველო X ადგილზეა — 104,725.

ცურვაში საქართველოს სპორტსმენები ერთობ უხეიროდ გამოდიან. 12 საუკეთესოს შორის ჯერჯერობით მხოლოდ ვ. პრონკურინა მოხვდა, რომელმაც XII ადგილი დაიკავა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 2.49,1. ორდღიანი ასპარეზობის შემდეგ საქართველოს ნაკრებს გუნდურ ჩათვლაში ქულაც კი არ მოუპოვებია.

ასევე წარუმატებლად გამოდიან ჩვენი მსროლელები. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში საქართველოს გუნდმა XI ადგილი დაიკავა. მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლიდან 60 გასროლაში — ასევე XI. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სროლაში ჩვენებს IV ადგილი ხვდათ.

საქართველოს რაპირისტმა ჭაბუკებმა გუნდურ ჩათვლაში VI ადგილი დაიკავეს. გაიმარჯვეს უკრაინის წარმომადგენლებმა. დაშნით ფარიკაობაში ჩვენი გუნდი XIII ადგილზეა.

ველოსიპედისტთა გუნდური რბოლა 75 კილომეტრზე მოიგო ყაზახეთის ნაკრებმა — 1:39.47,6. საქართველოს ველოსიპედისტები VIII ადგილზე გავიდნენ — 1:43.29,5.

საქართველოს ფეხბურთელები მართლაც საოცრად თამაშობენ — ყოველ მატჩში მეტოქის საჯარიმო მოედნის ბატონ-პატრონები არიან, თორემ გოლი ვერ გააქვთ. ამჯერადაც ასე იყო. ლიტველებთან შეხვედრაში აშკარა უპირატესობა ჩვენმა ფეხბურთელებმა ვერც ერთხელ ვერ გამოიყენეს. უფრო მეტიც, ლიტველებმა ორჯერ მოახერხეს ჩვენს საჯარიმო მოედანზე მწვავე მომენტის შექმნა და ორივეჯერ აიღეს კარი. ამრიგად, ჩვენებმა წააგეს — 0:2.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: უკრაინა — მოსკოვი 0:0, რსფსრ — ლენინგრადი 0:0. ბოლო ტურის წინ უკრაინას 7 ქულა აქვს, მოსკოვს — 6, საქართველოს, ლიტვას, ლენინგრადსა და რსფსრ-ს — 3-3. ბოლო მატჩი ჩვენებს მოსკოველებთან აქვთ.

25 ივლისი (ტელეფონით).

# სოხაძის შვიდი სარეკორდო შედეგი

მშვილდოსნობაში „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური ჩემპიონატის სარბიელზე ლვოვში უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბების (10 გუნდი) და რესპუბლიკური საბჭოების ნაკრები (6) კოლექტივები გამოვიდნენ.

სპორტკლუბების ვაჟთა გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვება ლვოვის სამედიცინო ინსტიტუტის ნაკრებს (მწვრთნელი ო. ხუსკივაძე) დარჩა. II ადგილზე გავიდა ქუთაისის პედინსტიტუტის კოლექტივი. ქალთა შორისაც I და II ადგილები ლვოველებმა და ქუთაისელებმა დაისაკუთრეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა, რა თქმა უნდა, მასპინძლებს დარჩათ, ხოლო II ადგილზე ქუთაისელი მშვილდოსნები არიან.

რესპუბლიკების ნაკრები კოლექტივების შეჯიბრება უკრაინის წარმომადგენლებმა მოიგეს. II ადგილზეა საქართველოს „ბურევესტნიკი", III — მოსკოვის გუნდი.

ქუთაისელებმა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შ. ჯაშიაშვილი) ცალკეულ ვარჯიშებშიც ისახელეს თავი. ვაჟთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვ. სოხაძე, თ. კვანტრიშვილი და ბ. ქორიძე, საქართველოს ორი რეკორდი დაამყარა. ამ ტრიომ „მ-1" ვარჯიშში 3184 ქულა მოაგროვა, რაც რესპუბლიკური რეკორდის საწყის ნორმატივზე 124 ქულით უკეთესია. ამავე სამეულმა „მ-2" ვარჯიშში 6237 ქულა დააგროვა. ეს რეკორდის ხარეგისტრაციო ნორმატივს 197 ქულით სჯობს.

ვაჟთა პირად ტურნირში სოხაძემ V ადგილი დაიკავა და საქართველოს კიდევ 4 რეკორდი დაამყარა: „მ-1" ვარჯიშის ჯამში 1123 ქულა მოაგროვა (ძველი რეკორდი — 1096 ქულა — კვანტრიშვილს ეკუთვნოდა), „მ-2" ვარჯიშის ჯამში — 2162 (ეს თბილისელი ვ. ტროპინის ძველ რეკორდზე 81 ქულით უკეთესია), „მ-2" ვარჯიშში 90 მეტრზე სროლაში — 447 ქულა (რეკორდის საწყისი ნორმატივი 440 ქულა იყო), 70 მეტრზე — 533 (ტროპინის ძველი რეკორდია 525 ქულა). 30 მეტრზე შეჯიბრებაში სოხაძემ კვანტრიშვილის მიერ შარშან დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი (641) გაიმეორა.

ქალთა შეჯიბრებაში ქუთაისელებს თავიანთი ლიდერი, სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის წევრი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ქეთევან ლოსაბერიძე არ გამოუყვანიათ (იგი ევროპის ჩემპიონატში გამოდიოდა), მაგრამ, დებულებით, ქეთევანმა კოლექტივს მაინც 16 ქულა მისცა. სხვა წევრების (გ. რიჟამაძე, ვ. ფაიქიძე, დ. ლოსაბერიძე) შედეგებიდან აღსანიშნავია ქეთევანის დის დარეჯან ლოსაბერიძის წარმატება, რომელმაც „მ-1" ვარჯიშის ოთხი დისტანციის ჯამში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა — 1043 ქულა.

**ო. ივდოშვილი.**




# გუნდი დაძლევს კრიზისს

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 24 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი) — „ყაირათი“ (ალმა-ათა) 0:0.

„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, პეტრიაშვილი, ახათიანი (მჭედლიშვილი), გუცაევი, რეხვიაშვილი, ყიფიანი.

„ყაირათი“: ორდაბაევი, დიმლენკო, კრუგლიხინი, ბაიშაკოვი, ასილბაევი, მიხაილინი, მარკინი, მაქსიმოვი (კატკოვი), ოსიანინი, ჩებოტარიოვი (პიუნოვსკი), მატვეევი.

მსაჯი ვ. სამუსენკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 3:1 „ყაირათის“ სასარგებლოდ.

თბილისის „დინამოს“ ახლანდელი თამაში, მისი შედეგები ბოლო მატჩებში გულშემატკივართა სამართლიან საყვედურს და შეშფოთებას იწვევს. რედაქციაში კვლავ და კვლავ მოდის წერილები შეკითხვით — რაშია საქმე, რატომ მოუკლო ასე უცებ და მოულოდნელად გუნდმა თამაშს, ასე ერთი ხელის მოსმით რატომ კარგავს დაძაბულ ბრძოლებში მონაპოვარს?

მართლაც, შესანიშნავად აღებული სტარტის შემდეგ (13 ქულა 16-დან) თბილისელებმა მკვეთრად დათმეს ლიდერის პოზიციები. კერძოდ, ბოლო ოთხ მატჩში გუნდმა მხოლოდ 2 ქულა აიღო. ასეთი დანაკარგი, ცხადია, მძიმე კვალს ამჩნევს გუნდის სატურნირო მდგომარეობას.

მაგრამ შევადაროთ თბილისელთა წლევანდელი მაჩვენებლები შარშანდელს. შარშან, საერთოდ, მძიმე მდგომარეობაში ვიყავით („დინამო“ VIII და XII ადგილებზეც კი იყო). 16 ტურის შემდეგ ჩვენს გუნდს 18 ქულა ჰქონდა და VI ადგილი ეკავა, ხოლო შემდეგ საუცხოოდ ჩაატარა მეორე წრის მატჩები და საბოლოოდ საპრიზო ადგილიც მოიპოვა.

შუა სეზონის კრიზისი ამჟამადაც გამეორდა და სწორედ ახლაა საჭირო მთელი ძალების მობილიზება, სრული შესაძლებლობით ბრძოლა, რათა კოლექტივმა რაც შეიძლება მოკლე დროში დაძლიოს ეს კრიზისი, თავი დააღწიოს წარუმატებლობათა პერიოდს და დროზე გამოასწოროს მდგომარეობა. თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ, მისმა თითოეულმა წევრმა საფუძვლიანი ანალიზით უნდა მიაგნონ მარცხის მიზეზებს, გამოასწორონ ისინი. ღრმად გვწამს, რომ კოლექტივი კვლავ დაიბრუნებს თავის ძალას.

ბოლოს და ბოლოს, რა პერსპექტივები გვაქვს ახლა? 19 ქულით გუნდი IV ადგილზეა და სულ 4 ქულით ჩამორჩება ლიდერს — „ზარიას“. ჩვენს წინ ორი გუნდია — „არარატი“ და ცსკა, მაგრამ მათ თითო ქულით მეტი აქვთ დაკარგული, ესე იგი, თუ დინამოელებმა გამოიჩინეს ნებისყოფის სიმტკიცე, გამოძებნეს საერთო ენა, არ დაჰკარგეს ფარ-ხმალი, კვლავ აღიდგინეს უწინდელი სპორტული ფორმა, მათ სრული შესაძლებლობა აქვთ, რომ კვლავ ცხრილის სათავეში დაიმკვიდრონ ადგილი.

ყველაფერი ეს რეალური პერსპექტივაა, მისი საქმედ ქცევა გუნდის მოთამაშეთა უპირველეს მოვალეობას შეადგენს.

განვლილი მატჩი „ყაირათთან“, რომელიც ჩემპიონატის აუტსაიდერთა შორისაა და ამიტომ გაორმაგებული ძალით იბრძვის უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად, ძალიან მძიმე გამოდგა. თბილისელებმა დაკარგეს კიდევ ერთი ძვირფასი ქულა და, რაც მთავარია, ვერ გვიჩვენეს ის კლასი, ის სიძლიერე, რომელსაც მათგან მოველით. გუნდის წამყვანი მოთამაშეები აშკარად არ არიან ფორმაში, ზოგიერთმა, უარალოდ, ელემენტარულად სუსტად ითამაშა (პეტრიაშვილი, გუცაევი, მჭედლიშვილი). გუნდმა ისე დაამთავრა ტაიმი, რომ, ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, არსებითად ვერ შეძლო რეალური ხიფათის შექმნა მეტოქის კართან, ალმაათელებმა კი რამდენიმე ძალიან მწვავე კონტრშეტევა განახორციელეს.

მიუხედავად უხეირო თამაშისა, დინამოელებს მაინც შეეძლოთ გამარჯვების მოპოვება. მატჩის დასასრულს ორდაბაევმა ყიფიანის, ებრალიძისა და გავაშელისგან აიღო წარმოუდგენლად ძნელი ბურთები. მან აშკარად გადაარჩინა თავისი გუნდი წაგებას.

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ ვ. სამუსენკოვის არაკვალიფიციური, სუსტი მსაჯობა. მთელ რიგ სიტუაციებში მან ვერ გამოიჩინა საჭირო პრინციპულობა და გამბედაობა.

რ. ქორიძე.

* * *

ბრწყინვალედ ითამაშა „ყაირათის“ მეკარე კ. ორდაბაევმა, რომელმაც მატჩის ბოლო წუთებზე რამდენიმე უძნელესი ბურთი აიღო.



ს უ რ ა თ ზ ე: კ. ორდაბაევი ფეხებში უვარდება ფ. რეხვიაშვილს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია“ | 16 | 10 | 3 | 3 | 28—14 | 23 |
| „არარატი“ | 17 | 7 | 6 | 4 | 25—14 | 20 |
| ცსკა | 17 | 9 | 2 | 6 | 19—18 | 20 |
| „დინ.“ (თბ.) | 16 | 7 | 5 | 4 | 16—14 | 19 |
| „დინ.“ (მნ.) | 16 | 6 | 6 | 4 | 17—14 | 18 |
| „დნეპრი“ | 16 | 5 | 7 | 4 | 20—19 | 17 |
| „ზენიტი“ | 17 | 5 | 7 | 5 | 20—19 | 17 |
| „ტორპედო“ | 17 | 6 | 5 | 6 | 14—20 | 17 |
| „სპარტაკი“ | 16 | 6 | 4 | 6 | 20—14 | 16 |
| „დინ.“ (კ.) | 16 | 5 | 6 | 5 | 23—21 | 16 |
| „დინ.“ (მ.) | 16 | 6 | 3 | 7 | 17—18 | 15 |
| ასკ | 17 | 5 | 5 | 7 | 18—20 | 15 |
| „კარპატი“ | 17 | 5 | 4 | 8 | 14—21 | 14 |
| „ყაირათი“ | 17 | 2 | 9 | 6 | 9—16 | 13 |
| „ლოკომოტ.“ | 16 | 3 | 5 | 8 | 15—22 | 11 |
| „ნეფთჩი“ | 15 | 4 | 3 | 8 | 14—25 | 11 |

## გაკვრით, მოკლედ

24 ივლისს გაიმართა მორიგი შეხვედრები.

„ზენიტი“ — „ზარია“ 0:0.

ვოროშილოვგრადელებმა ზედმეტი სიფრთხილით დაიწყეს თამაში, რამაც „ზენიტს“ საშუალება მისცა განეხორციელებინა რამდენიმე სახიფათო იერიში. შემდგომში ლიდერმა გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ მატჩი ისე დამთავრდა, ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ანგარიშის გახსნა.

„დინამო“ (მოსკოვი) — „დნეპრი“ 3:0.

პირველივე წუთებიდან ნათელი შეიქნა, რომ სტუმრები დაცვაზე აკეთებდნენ აქცენტს. დინამოელებმა ამით კარგად ისარგებლეს და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს. პირველი ბურთი 45-ე წუთზე გაიტანა მახოვიკოვმა, შემდგომი ორი — ჟუკოვმა (66 და 83).

„არარატი“ — „ნეფთჩი“ 4:2.

39-ე წუთზე ბაქოელთა მცველის იუმაკულოვის უხეში თამაშისთვის დაინიშნა 11-მეტრიანი, რომელიც ზუსტად გამოიყენა ზანაზანიანმა. გავიდა 4 წუთი და ანდრიასიანმა ანგარიში აიყვანა 2:0-მდე. შესვენების შემდეგ „ნეფთჩის“ კარში კიდევ ერთი პენალტი იქნა დანიშნული, რომელიც ისევ ზანაზანიანს მიანდვეს — 3:0. სტუმართა კარში მეოთხე გოლი გაიტანა მონდორენკომ. ბაქოელთაგან ბურთები გაიტანეს პანიშევსკიმ და სმოლნიკოვმა.

„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (კიევი) 2:1.

მატჩი ახალი დაწყებული იყო, როცა მინსკელებს საჯარიმო დარტყმის უფლება მიეცათ. გუნდმა იგი კარგად გამოიყენა — ვასილევსკიმ ზუსტად დააწვინა ბურთი ჩემპიონის კარში. შემდეგ კიეველები დიდხანს უტევდნენ, მაგრამ მე-16 წუთზე მასპინძლებმა კონტრიერიში განახორციელეს და იმავე ვასილევსკიმ მეორედ აიღო სტუმართა კარი. კიეველებმა ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლეს 55-ე წუთზე (ბლოხინი).

„ლოკომოტივი“ — „კარპატი“ 4:1.

რკინიგზელებმა, როგორც იქნა, შეძლეს 2 ქულის აღება. 2-2 ბურთი გაიტანეს პისკუნოვმა და კოზლოვმა, ხოლო ერთადერთი საპასუხო გოლი — ხიჟაკმა.

ამ მატჩის დასასრულს მოხდა კურიოზული ამბავი: „კარპატის“ მოთამაშე მიხაილიუკმა კინაღამ გაიტანა ბურთი... ზურგით. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც „ლოკომოტივის“ მეკარე ფროლოვს ბურთი უნდა შეეყვანა თამაშში, მაგრამ უხეიროდ დაარტყა.

ცსკა — ასკ 1:0.

ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი, მე-19 წუთზე გაიტანა პოლიკარპოვმა. ბრწყინვალედ ითამაშა როსტოველთა მეკარე ჯუდასოვმა, რომელმაც რამდენიმე უძნელეს ბურთს გადაარჩინა თავისი გუნდი.

* * *

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია კიეველი ო. ბლოხინი: მის ანგარიშზეა 8 ბურთი.

უმაღლესი ლიგა

## II ლიგა III ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი“ (კრასნოდარი) | 18 | 10 | 5 | 3 | 29—9 | 25 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 17 | 9 | 6 | 2 | 30—13 | 24 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 18 | 9 | 6 | 3 | 26—15 | 24 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 18 | 9 | 5 | 4 | 33—21 | 23 |
| „მაშინოსტროიტელი“ (პოდოლი) | 18 | 9 | 4 | 5 | 20—17 | 22 |
| „დრუჟბა“ (მაიკოპი) | 18 | 7 | 7 | 4 | 21—13 | 21 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 18 | 10 | 1 | 7 | 23—22 | 21 |
| „დილა“ (გორი) | 18 | 6 | 7 | 5 | 20—16 | 19 |
| „სალუტი“ (ბელგოროდი) | 18 | 6 | 7 | 5 | 15—18 | 19 |
| „ზვეზდა“ (ტირასპოლი) | 18 | 7 | 4 | 7 | 15—15 | 18 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 18 | 7 | 4 | 7 | 23—25 | 18 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 18 | 6 | 5 | 7 | 22—24 | 17 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 18 | 5 | 6 | 7 | 18—22 | 16 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 18 | 6 | 3 | 9 | 21—27 | 15 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 18 | 4 | 7 | 7 | 20—26 | 15 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 18 | 3 | 6 | 9 | 10—23 | 12 |
| „სპარტაკი“ (ორიოლი) | 18 | 2 | 7 | 9 | 13—21 | 11 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 17 | 3 | 5 | 9 | 13—22 | 11 |
| „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) | 18 | 3 | 3 | 12 | 13—34 | 9 |



# „დიდუბის“ წარმატება

24 ივლისს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე დამთავრდა უფროსი ასაკის ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ფინალური გათამაშება „ტყავის ბურთის“ პრიზზე. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დიდუბე“ და სოხუმის „ვოსტოკი“. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 3:0. III ადგილზეა ბათუმის „წითელი ეშმაკუნები“, IV — ქუთაისის გ. კილაძის სახელობის გუნდი.

როგორც ყოველთვის, ტურნირში დაწესებული იყო სპეციალური პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისათვის, რომლებიც ნორჩ ფეხბურთელებს გადასცა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზი — ფინალური ასპარეზობის საუკეთესო ფეხბურთელს — გადაეცა სოხუმელ ე. დამენიას, „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციისა — ქუთაისელთა მეკარე ვ. იომიძეს, „მოლოდინუ გრუზიისა“ — ბათუმელ მცველს ტ. ქიმშარიას, „ლელოსი“ — საუკეთესო ცენტრალურ მცველს ვ. ჭეიძეს (თბილისი), ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციისა — საუკეთესო ნახევარმცველს ე. ჩიხლაძეს (ქუთაისი), „ნორჩი ლენინელისა“ — საუკეთესო თავდამსხმელს ა. კვერნაძეს (ქუთაისი), ვეტერან ფეხბურთელთა პრიზი — საუკეთესო ბომბარდირებს — თბილისელ ა. მენაბდეს და ბათუმელ ა. კორნეევს, განათლების სამინისტროსი — საუკეთესო ვარემარბს, რუსთაველ მ. კიკალეიშვილს, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა პრიზი — ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელს, ფოთელ ნ. მთვარაძეს.

„ტყავის ბურთის“ პრიზის საკავშირო ფინალური ასპარეზობა 14 აგვისტოს დაიწყება კრასნოდარში.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის „დიდუბისა“ და სოხუმის „ვოსტოკის“ ფინალური მატჩის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ჩემპიონობაც, თასიც...

დამთავრდა ქუთაისის საქალაქო პირველობა ფეხბურთში ფიზკულტურის კოლექტივების გუნდებს შორის.

აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათაო წარმოების გუნდმა შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარა და დამსახურებულად დაიკავა I ადგილი.

ფეიქარმა ფეხბურთელებმა გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხეს საავტომობილო ქარხნის გუნდი (2:0). III ადგილზეა მაუდის ფაბრიკის კოლექტივი.

აღსანიშნავია, რომ ფეიქრებმა წლეულს საქალაქო თასიც მოიპოვეს.

შეჯიბრება ორგანიზებულად ჩაატარა მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი მსაჯი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი ზ. თოდაძე).

(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

## [illegible]-72

ლიეპაია, 24 ივლისი. წლეულს სატრეკო ველოსპორტში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება ადგილობრივ ხისსაფარიან ტრეკზე პირველად მოიპოვა ომსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ე. რაპმა: ადგილიდან 1000 მეტრზე გიტში მან უკანასკნელმა აიღო სტარტი და საუკეთესო დრო აჩვენა — 1.07,93. ვერცხლის მედალი კიშინიოველ არმიელს ა. იაბლუნოვსკის ხვდა (1.08,88), ხოლო ბრინჯაოსი — ტულელ ვ. ვოლკოვს (1.09,31). საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების ათი გუნდის ასზე მეტი უძლიერესი ველოსიპედისტი მონაწილეობს, ძალთა ბოლო შემოწმებაა ოლიმპიური თამაშების წინ. ლატვიის ზღვისპირა ქალაქი ამ შემოწმების ადგილად შემთხვევით როდი აირჩიეს. ლიეპაიას ლამაზი ტრეკი, რომელსაც ტევადი ტრიბუნები აქვს, პროფილითა და ბილიკის სიგრძით (250 მ) მიუნხენის სარბიელს შეეფარდება. სწორედ ეს აღინიშნა სტარტის შემდეგ რაპმა, რომელიც აქ პირდაპირ ბავარიის დედაქალაქიდან ჩამოვიდა. შეჯიბრება 27 ივლისამდე გასტანს.



# ქალთა მთლიანი ემანსიპაცია

ათენის ოლიმპიადამ პირნათლად მოიხადა ვალი იმ იდეების წინაშე, რომლებიც სორბონის უნივერსიტეტის საპქტო დარბაზში წარმოიშვა და რომლებმაც კაცობრიობას ლამაზი და აზრიანი მომავალი აღუთქვა. მაგრამ I ოლიმპიურ თამაშებს, ამასთან ერთად, დიდი სპორტული მნიშვნელობაც აქვს. 1896 წლამდე მსოფლიო რეკორდების რეგისტრაცია არ ხდებოდა: ათენის შედეგები საფუძვლად დაედო როგორც მსოფლიო, ისე ოლიმპიური რეკორდების ცხრილს. თამაშების პროცესში სულ 28 ასეთი რეკორდი დამყარდა: მძლეოსნობაში — 12, სროლაში — 5, ველოსპორტში — 6, ძალოსნობაში — 2, ცურვაში — 3.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ოლიმპიადა ორგანიზაციული თვალსაზრისით ფაქტიურად უნაკლო იყო, მომდევნო თამაშებს აშკარად აკლდა გაქანებაცა და მასშტაბებიც. მაგალითად, II ოლიმპიური თამაშების მასპინძლებმა — ფრანგებმა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვეს, როცა ოლიმპიადის ვადები მსოფლიო გამოფენის თარიღს დაამთხვიეს. ეიფელის დიდებული კოშკის ელვარებამ (იგი სწორედ ამ გამოფენისთვის აშენდა) დაჩრდილა თამაშების სანახაობრივი ეფექტიცა და მისი კეთილშობილური იდეაც. სწორედ ამიტომ თქვა გულისტკივილით კუბერტენმა: ოლიმპიადას ერთადერთ ქვეყანაში ეკიდებიან გულგრილადო. იგი საფრანგეთს გულისხმობდა.

II ოლიმპიური თამაშები (1900 წ. პარიზი) ოფიციალურად 14 მაისს გაიხსნა და ხუთთვენახევრის შემდეგ, 28 ოქტომბერს დაიხურა. ზომაზე მეტად გაჭიანურებულმა გრაფიკმა, ჯერ ერთი, ძალიან დაანაწევრა პროგრამა და, რაც მთავარია, ზეიმსაც მთლიანობის ეფექტი დაუკარგა. ყოველი შეჯიბრება ვიწრო ნაჭუჭში იყო მოქცეული და, ცხადია, მაყურებელიც ნას უხალისოდ ხვდებოდა.

მაგრამ წმინდა სპორტული თვალსაზრისით პარიზის ოლიმპიადამ ერთი-ორად გადააჭარბა თავის წინამორბედს. ჯერ ის რად ღირს, რომ სწორედ პარიზში მოხდა ქალთა მთლიანი ემანსიპაცია სპორტში. მართალია, ამ პროცესის არითმეტიკული ფორმულა არც ისე საგულისხმო იყო (სარბიელზე მხოლოდ ექვსი ქალი გამოდიოდა), მაგრამ ამას ისეთი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. პარიზში საფუძველი ჩაეყარა ქალთა ოლიმპიურ ისტორიას და ამ პრიორიტეტს II ოლიმპიურ თამაშებს ვერავინ წაართმევს. ფრანგების ტრადიციულმა დიდსულოვნებამ ქალთა საკითხში უაღრესად პროგრესული როლი შეასრულა და ამავე დროს ხელი შეუწყო სპორტის ახალ, მძლავრ აღმავლობას.

ოლიმპიადაში გამარჯვებული პირველი ქალის გვარია შ. კუპერი. ამ ინგლისელმა მანდილოსანმა წარმატებას მიაღწია ჩოგბურთელთა ტურნირში და ორი ოქროს მედალი მიიღო (მოიგო ერთეულთა ასპარეზობა და თანამემამულე ლ. დოჰერტისთან ერთად — იგრეთ წოდებული „მიქსტი").

პარიზში, ათენთან შედარებით, საგრძნობლად ამაღლდა ოლიმპიური რეკორდების დონე. მაგალითად, ამერიკელი ფ. ჯერვისის შედეგი 100 მეტრზე რბენაში — 10,8 წამი, რომელიც, ამავე დროს, ოლიმპიური რეკორდი იყო, მხოლოდ 24 წლის შემდეგ დაემხო.

პირველმა ოლიმპიადამ უკვდავყო სპირის ლუისის სახელი. ჩემპიონთა ჩემპიონები, თავისი არაოფიციალური გმირები ყველა მომდევნო ოლიმპიადას ჰყავდა. პარიზის თამაშების გმირად ამერიკელი მძლეოსანი ელვინ კრენცლეინია მიჩნეული, რომელსაც სპორტის ისტორიკოსები ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ათლეტად ასახელებენ. რამდენად შეეფერება სინამდვილეს ლეგენდა ამ ამერიკელზე, დღეს ძნელი დასადგენია, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ კრენცლეინის ნოვატორულმა სტილმა თარჯრბენში (მაღალი ნახტომის ნაცვლად შემოიღო ეგრეთ წოდებული გადავლების მეთოდი) თავისებური რევოლუცია მოახდინა. ამერიკელი პარიზში ოთხი ოქროს მედლით დაჯილდოვდა. მან ამდენივე ოლიმპიური რეკორდიც დაამყარა. ერთი მძლეოსნის წილად ამდენი ჯილდო პირველ ჯოვლისა მის მაღალ ნიჭსა და უნარზე მეტყველებს.

• • •

სურათებზე: ე. კრენცლეინი; ცივი შხაპი მარათონული რბენის დისტანციაზე.





# ოლიმპიადამდე და ოლიმპიადის შემდეგ

როგორც დასავლეთის პრესა იუწყება, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბევრი თეორიული მოწინააღმდეგე ჰყავს არა მარტო მიუნხენის ოლიმპიადას, არამედ საერთოდ ოლიმპიურ თამაშებს და მის კეთილშობილურ იდეას. ამას წინათ გამოვიდა ახალგაზრდა ფრანკფურტელი სოციოლოგის უ. პროკოპის პატარა ბროშურა — „ოლიმპიური სპორტის სოციოლოგია და კაპიტალიზმი". ავტორის თქმით, ამ ნაშრომის მიზანია ბოლო მოუღოს ოლიმპიური თამაშების გაფეტიშებას მისი წარმოქმნის დღიდან. „კუბერტენისთვის, — წერს უ. პროკოპი, — თამაშები პროლეტარიატის ენერგიის კონტროლის საუკეთესო საშუალება იყო. თამაშები ამ ენერგიას უსაქმობისა და ლოთობისგან იფარავდა".

თავისი „ორიგინალური" გამოკვლევების შედეგად ფანტაზიორი სოციოლოგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ თამაშები საერთოდ უნდა აიკრძალოს მსოფლიოს ყველა კუთხეში. „რატომ არის ეს აუცილებელი, პროკოპმა არ იცის და არც შეიძლება იცოდეს, ვინაიდან ამ სოციოლოგიურ ნარკვევს არავითარი მეცნიერული ღირებულება არა აქვს. ბოლო ხანს დასავლეთ გერმანიაში ბევრი ფსევდომეცნიერული წიგნი დაიბეჭდა, რომლებსაც საერთო აქვთ მხოლოდ ერთი რამ. ადრე თუ გვიან ყველა მათგანი თავს ნაგვის ყუთში მოიყრის" — ასეთია პროკოპის მრავალრიცხოვან ოპონენტთა აზრი.

ოლიმპიური თამაშებისადმი ზიზღით არის გამსჭვალული მიუნხენში გამოქვეყნებული „ნაშრომი" — „მიუნხენის ოლიმპიადის კატასტროფის შესახებ". ამ წიგნის ავტორი — მიუნხენის უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი ოლიმპიურ თამაშებს კატეგორიულ ბრალდებებს უყენებს: „თამაშების საერთო ღირებულება ხუთჯერ აღემატება თავდაპირველ ხარჯთაღრიცხვას... ოლიმპიური თამაშები აჩქარებს მთელი საზოგადოებრივი სისტემის კრიზისს... ნაცვლად იმისა, რომ აშენდეს სკოლები და საავადმყოფოები, 20 წლის მანძილზე სხვადასხვა სახის გადასახადის გადახდა მოგვიწევს. ორი კვირის უწესრიგობამ უნდა შთანთქას კოლოსალური, ენით აუწერელი თანხა. მიუნხენში ყველაზე მოწამლულია ჰაერია და ბავშვთა სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი პროცენტი. აი, რა პრობლემებზე უნდა იფიქროს მთავრობამ".

ამ წიგნის ავტორები მოუწოდებენ სტუდენტებს, „თმი" გააჩაღონ იმ 4 ათასი პოლიციელისა და 14 ათასი ჯარისკაცის წინააღმდეგ, რომლებსაც დავალებული ექნებათ ოლიმპიადის დაცვა. „ჩვენ ვიცით, — აცხადებენ ისინი, — რომ უაზრობაა ხელი შეუშალო შეჯიბრების ნორმალურ მსვლელობას. ამიტომაც ბრძოლას ძირითადად ოლიმპიადის დაწყებამდე და მის შემდეგ წარვმართავთ. ჩვენ ვეცდებით მოვშალოთ ქალაქის ელექტროხაზი, შევქმნათ უწესრიგობანი მეტროში, ქალაქის ქუჩებში და საზოგადოებრივ საკრებულოებში".



„ლელოს" მიმომხილველი.

## ოლიმპიური რეკორდები

## სროლა

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების ადგილი | წელი |
|---|---|---|---|---|
| ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლა | 1157 | გ. ანდერსონი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლა | 1164 | ლ. ვიგერი (აშშ) | ტოკიო | 1964 |
| მცირეკალიბრიანი შაშხანით | 598 | ი. კურკა (ჩეხოსლოვაკია) | მეხიკო | 1968 |
| წოლელა სროლა | 598 | ლ. ჰემერლი (უნგრეთი) | მეხიკო | 1968 |
| მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 60 გასროლა | 562 | გ. კოსიხი (სსრ კავშირი) | მეხიკო | 1968 |
| | 562 | ჰ. მერტელი (გფრ) | მეხიკო | 1968 |
| მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სწრაფსროლა | 593 | ი. ზაპეცკი (პოლონეთი) | მეხიკო | 1968 |
| ადგილიდან სროლა | 198 | ე. მატარელი (იტალია) | ტოკიო | 1964 |
| მრგვალი სტენდი | 198 | ე. პეტროვი (სსრ კავშირი) | მეხიკო | 1968 |

# დევისის თასზე

სანტიაგოსა და ბარსელონაში დამთავრდა ჩოგბურთელთა ფინალური ზონალური მატჩები დევისის თასზე. ჩილის დედაქალაქში ამერიკის ჩოგბურთელებმა, რომელთაც სათავეში უიმბლდონის ჩემპიონი ს. სმითი უდგა, მასპინძელთა გუნდი დაამარცხეს ანგარიშით 5:0 და ამერიკის ზონაში გაიმარჯვეს.

ესპანელებმა თავიანთ კორტებზე უმასპინძლეს ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელებს და ევროპის „ბ" ზონის ფინალში მოკრძალებული შედეგით (3:2) გაიმარჯვეს. გამოირჩეოდა ესპანეთის ნაკრების მეორე ნომერი ხ. გისბერტი, რომელმაც აჯობა ი. კოდეშს — 3:6, 6:4, 5:7, 0:6, 6:4. მანვე დაამარცხა ფ. პალა — 6:3, 6:3, 4:6, 6:3. ბოლო შეხვედრამ ესპანეთის ნაკრებს საერთო წარმატებაც მოუტანა.

ახლა იწყება საზონათშორისო ორთაბრძოლები: აშშ — ესპანეთი და რუმინეთი — ავსტრალია.

# მძლეოსანთა სტარტები

ვარშავა, 24 ივლისი. ათჭიდში წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგს მიაღწია 23 წლის რ. სკავრონეკმა — 8147 ქულა. აი, როგორ მიდგა ეს შესანიშნავი მაჩვენებელი: 100 მ — 10,8; 400 მ — 48,3; 110 მეტრზე თარჯრბენი — 14,3; 1500 მ — 4.34,0; სიგრძე — 740 სმ; სიმაღლე — 199 სმ; ჭოკი — 450 სმ; ბირთვი — 13,90 მ; ბადრო — 41,90 მ; შუბი — 62,68 მ. პოლონეთის ძველი რეკორდი 153 ქულითაა გაუმჯობესებული.

პარიზი, 24 ივლისი. საფრანგეთის მძლეოსანთა ჩემპიონატში 110 მეტრზე თარჯრბენის ფინალური გარბენი (უქარო ამინდში) გ. დრიუმ მოიგო — 13,5 წამი. ევროპის ჩემპიონმა ნიკოლ დიუკლომ ყველას აჯობა 400 მეტრზე რბენაში — 52,3 (მეორე იყო ოლიმპიური ჩემპიონი კოლეტ ბესონი — 52,6).

ჭოკით ხტომაში ფ. ტრაკანელიმ ცდებით აჯობა ვეტერან ე. დ'ანკოსს. ორივეს შედეგია 520 სმ.

მიუნხენი, 24 ივლისი. XX ოლიმპიადის დედაქალაქში დიდი ინტერესი გამოიწვია გფრ-ის ჩემპიონატმა. 100 მეტრზე რბენაში გამარჯვების შემდეგ მ. ომერმა 200-მეტრიანი დისტანციაც მოიგო — 20,48.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა 800 მეტრზე რბენა. აქ პირველი იყო 27 წლის ვ. ადამსი — 1.47,9. მას მიჰყვნენ ფ.-ი. კემპერი (1.48,2) და ი. შმიდტი (1.48,3).

სიგრძეზე ხტომაში მოასპარეზეთაგან ორმა გადააცილა რვამეტრიან ზღვარს: კ. ბაუმგარტნერის შედეგია 809 სმ, ხოლო ევროპის რეკორდის „თანაავტორის" ზ. შვარცისა — 804 სმ.

რ. რაიჰენბახმა 20,15 მეტრზე ჰკრა ბირთვი, კ. ვოლფერმანმა 85,50 მეტრზე ტყორცნა შუბი, ხოლო ე. კლაინმა 73,02 მეტრზე ტყორცნა ურო.

მსოფლიო რეკორდსმენი ჰაიდი როზენდალი 672 სმ სიგრძეზე გადახტა (მეორე იყო ჰაიდი შიულერი — 643 სმ). ლიზელ ვესტერმანმა 60,84 მეტრზე ტყორცნა ბადრო, ხოლო ამელი კოლოსკის შუბი 57,12 მეტრზე გაფრინდა.

მელბურნი, 24 ივლისი. დედამიწის უსწრაფესმა მარათონელმა, ავსტრალიელმა დ. კლეიტონმა ვიქტორიის შტატის ჩემპიონის ტიტული მოიგო — 42 კმ და 195 მ 2 საათში, 16 წუთსა და 19 წამში გაირბინა.

# მსოფლიოს აუზებზე

მიუნხენი, 24 ივლისი. გფრ-ის მოცურავეთა ჩემპიონატში მოასპარეზე ვ. კუში 100 მეტრზე ბრასით ცურვაში მსოფლიო რეკორდის დამყარებას შეეცადა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. 200-მეტრიან დისტანციაზე ამავე სტილით ცურვაში ევროპის რეკორდსმენმა 1.05,91 აჩვენა. ამრიგად, მოსკოველი ნ. პანკინის მიერ 1969 წელს დამყარებული მსოფლიო რეკორდი (1.05,8) ხელუხლებელი დარჩა.

ქალთა შორის ამ დისტანციაზე ბატერფლაის სტილით ცურვაში წლეულს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგით გაიმარჯვა ჰ. ნაგელმა — 1.05,75.

ბუდაპეშტი, 24 ივლისი. ბატერფლაის სტილით 100 მეტრზე ცურვაში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია უნგრელმა ი. ხენტირმაიმ — 57,2.

ბოლცანო, 24 ივლისი. წყალში ხტომაში ოლიმპიურმა ჩემპიონებმა მილენა დუხკოვამ (ჩეხოსლოვაკია) და კლაუს დიბიასიმ (იტალია) ადგილობრივ აუზში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში გაიმარჯვეს თავიანთ საყვარელ იარაღებზე. დუხკოვა პირველი იყო კოშკზე (341,85 ქულა), გამარჯვებული იტალიელის შედეგი კი 489,51 ქულაა.

ტრამპლინზე ხტომაში ქალთა შორის ყველას აჯობა ახალგაზრდა შვედმა ულრიკა კნაპემ (418,11), ვაჟებში კი კვლავ გამოიჩინა თავი ამასწინანდელი ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელებულმა დიბიასიმ — 566,67.

ტრამპლინიდან და კოშკიდან ხტომაში შეჯიბრების ქულათა ჯამი ყველაზე კარგი კნაპეს აღმოაჩნდა — 758,22 (შვედმა მეორე იარაღზე დუხკოვასთან წააგო). ვაჟთა შორის საუკეთესო ჯამი (1056,18 ქულა) დიბიასის აქვს.

# წყალქვეშა ტრასების ჩემპიონები

მინსკი, 24 ივლისი. რუსეთის ფედერაციის გუნდის წევრი ი. ფალომკინა ბელორუსიის დედაქალაქში სპორტის ოსტატობის კანდიდატად ჩამოვიდა, დღეს კი შინ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ტიტულით გაემგზავრა. ამ წარმატებას მან წყალქვეშ ცურვის ჩქაროსნულ სახეობებში სსრ კავშირის პირად-გუნდურ ჩემპიონატში მიაღწია.

შეჯიბრებამ 11 რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის 173 სპორტსმენს მოუყარა თავი. ოთხი დღის განმავლობაში ჯილდოების 30 კომპლექტი გათამაშდა. პრიზების უმეტესობა რსფსრ-ს წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს, რომლებმაც ყველას აჯობეს როგორც უფროსების, ისე მოზარდების საერთო გუნდურ ჩათვლაში. II და III ადგილები გაიყვეს მოსკოვისა და ესტონეთის წარმომადგენლებმა.

## ტექნიკური შედეგები

### ჩემპიონები უფროსებს შორის

ყვინთვა: 25 მ. ი. ფალომკინა — 9,8 წამი; 50 მ. გ. კონი (მოსკოვი) — 17,8.

ფარფლებით ცურვა: 100 მ. ფალომკინა — 50,9, ა. კრიუკოვი (მოსკოვი) — 45,6; 200 მ. ანი (ესტონეთი) — 1.55,0, კრიუკოვი — 1.42,0; 400 მ. ლ. ვიატკინა (რსფსრ) — 4.10,4, კრიუკოვი — 3.38,8; 800 და 1500 მ. ა. შუმკოვი (რსფსრ) — 7.36,6 და 14.47,1.

წყალქვეშ ცურვა: 100 მ. ი. ავდეევა (რსფსრ) — 47,5, გ. ბარდაშევიჩი (მოსკოვი) — 40,0; 400 მ. ტ. დოლტოვსკაია (ესტონეთი) — 3.59,5, ვ. ვოლკოვი (რსფსრ) — 3.29,9.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის განათლების განყოფილების საწყლოსნო სახეობების ბავშვთა სპორტული სკოლის საცურაო აუზის დირექცია აცხადებს მსურველთა (ასაკის განურჩევლად) მიღებას ცურვის შემსწავლელ და გამაჯანსაღებელ ჯგუფებში.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ჯანმრთელობის ცნობა და ერთი ფოტოსურათი (3×4 სმ).

დაწვრილებითი ცნობების მიღება სპორტსკოლის დირექციაში: საირმის ქ. № 51. ტელეფონი 37-44-29.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 10161